

ქართული ფანტასტიკური მწერლობა - გენეზისი, ისტორია,
ჟანრობრივი თავისებურებები

ვახტანგი მურღულია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შედარებითი
ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია,
რომანული ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან ცაგარელი, პროფესორი, დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი


თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ვახტანგი მურღულია

25.06.2021

A handwritten signature in blue ink, appearing to read 'ვ. მურღულია' (V. Murghulia), with a large, stylized flourish extending from the end of the signature.

აბსტრაქტი

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს ცდას შესწავლილ იქნას ქართული ფანტასტიკური ჟანრის ლიტერატურის წარმომავლობა, მისი განვითარების ეტაპები და, რაც მთავარია, ქართული ფანტასტიკური ლიტერატურის ჟანრობრივი თავისებურებები.

ნაშრომი მიზნად ისახავს ქართული ფანტასტიკური ლიტერატურის კვლევას, მისი გენეზისის, ისტორიისა და მისთვის დამახასიათებელი ჟანრობრივი თავისებურებების დადგენას. აგრეთვე, ნაშრომის მიზანია ქართული და უცხოური ფანტასტიკური ლიტერატურის ჟანრები ერთმანეთს შედარდეს და გამოიყოს მათი საერთო და განმასხვავებელი ლიტერატურული ტენდენციები.

საკვლევად შერჩეული ტექსტებია იაკობ მანსვეტაშვილის *უცხოთა შორის*, ალექსანდრე აბაშელის *ქალი სარკეში*, ივანე ყიფიანის *ამონი ანუ ათასი წლის შემდეგ* და ზურაბ ჯიშკარიანის *საღეჭი განთიადები. უშაქროდ*. ტექსტების ანალიზი განხორციელდა ცვეტან ტოდოროვის, უვე დურსტის, მარია ნიკოლაიევას, ერიკ რაბკინის, კლაივ ლუისის, ჯონ ტოლკინისა და სხვა ავტორების თეორიებისა და მეთოდოლოგიის საფუძველზე.

ფანტასტიკური ჟანრის ლიტერატურა 19-ე საუკუნეში წარმოშობილი ფენომენია. ქართულ ლიტერატურაში ეს ჟანრი სრულფასოვნად 20-ე საუკუნიდან ვითარდება, თუმცა არსებობს ასევე, 19-ე საუკუნეში დაწერილი მცირე ტექსტი, რომელიც შესაძლოა ფანტასტიკურ ჟანრს მივაკუთვნოთ.

ტექსტების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ ქართული ფანტასტიკური ჟანრის ლიტერატურას დიდი ხნის ისტორია გააჩნია. ამ ხნის მანძილზე ჩამოყალიბდა საერთო ქართული ფანტასტიკური ტრადიციებიც. ქართული ფანტასტიკური ლიტერატურა ხასიათდება თემატური მრავალფეროვნებით. ქართული ფანტასტიკა ავლენს საერთო ნიშან-თვისებებს უცხოურ, კერძოდ კი რუსულ სამეცნიერო ფანტასტიკასთან და განიცდის მის გავლენებს, თუმცა, ამავედროს ინარჩუნებს ორიგინალურობას.

საძიებო სიტყვები: *ქართული ფანტასტიკა, ქართული სამეცნიერო ფანტასტიკა, ფანტასტიკის გენეზისი, ფანტასტიკის ისტორია.*

Abstract

Following Master's thesis is an attempt to study the origin of Georgian literature in terms of fantasy genre, the peculiarities of its developmental stages, and most importantly, the specificities of Georgian fantasy literature.

The main purpose of this work is to conduct research on Georgian fantasy literature, its genesis, history and specific genre-related characteristics. In addition, the aim of the following thesis is the comparison of Georgian and foreign fantasy literature as well as formulating the differences and similarities between the two.

The chosen literary texts for this research are: "Among the Unknown" by Iakob Mansvetashvili, "Lady in the mirror" by Alexander Abasheli, "Ammon or after a thousand years" by Ivane Yifiani and "Sugar-free dawns" by Zurab Jishkariani. The analysis and the study of the mentioned texts has been carried out in accordance with the theories and methodology provided by Tzvetan Todorov, Uwe Durst, Maria Nikolajeva, Eric Rabkin, Clive Lewis, John Tolkin so on and so forth.

As a phenomenon, the genre of fantasy emerged in literature in the 19th century. As for the Georgian literature, it was established as a wholistic genre in the previous century, although, there are minor written texts from the 19th century that can very well be considered as fantasy.

Based on the analysis of the above-mentioned texts, it can be concluded that Georgian fantasy literature has a vast history, in the duration of which there had been common traditions and tendencies. Additionally, Georgian fantasy literature can be characterized with versatility. In closing, it can also be said that Georgian literature tends to resonate with Russian Sci-fi genre and even presents its influence of some sort. Nevertheless, it remains original, unique and inherently valuable.

Keywords: Georgian Fantastic Literature, Georgian Science Fiction, Genesis of Fantastic, History of Fantastic.

მადლობა

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის მომზადება სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა რომ არა ჩემი აკადემიური ხელმძღვანელის მხარდაჭერა კვლევის ყველა ეტაპზე. ამისათვის, მადლობა ვუხდის პროფესორ ლევან ცაგარელს, მისი მხრიდან მუდმივი მზაობისა და მხარდაჭერისთვის.

აგრეთვე, მადლობას ვუხდის ყველა იმ ადამიანს, ვინც პირდაპირ თუ ირიბად აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის შექმნაში გამიწია დახმარება.